№2564 2015 წლის 27 ნოემბერი ქ. თბილისი

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის (საქართველოს საპატრიარქოს) საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 49[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია (საქართველოს საპატრიარქო) გათავისუფლდეს „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების საქართველოს საპატრიარქოსათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 24 დეკემბრის №941 განკარგულების საფუძველზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა (უფლებამონაცვლე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო) და საქართველოს საპატრიარქოს შორის 2009 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების 2.1. მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის საფუძველზე, ხელშეკრულების 4.2.2 მუხლის შესაბამისად დაკისრებული პირგასამტეხლოსგან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**